# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კვირა, 28 მარტი 1910 წ.

№ 44

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში-80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. ... —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ, რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ· სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



## თამბაქოს ფაბრიკა ა. ენფიანჯიანცისა

ამით აუწყებს თავის მუშტარს, რომ ამ ჟამათ ახალ მაშინების შეძენით და ზედ-მეტ საათების სამუშაოს შემოღებით ფაბრიკა ამზადებს დღე-დამეში

# 1,200,000

ამიტომ ეხლა საშუალება გვაქვს მომავალში თავის დროზე დაუგვიანებლათ შევასრულოთ დაკვეთილი საქონელი.
ამასთან ფაბრიკა საჭიროთ სთვლის მიაქციოს პაპიროსის მწეველთა ყურადღება პაპიროსს

## ევსტრა

25 ცალი 10 კაპ.
15 ცალი 6 კაპ.

ეს პაპიროსები თავის განსაკუთრებულ თვისებით ბევრით განირჩევა ყველა სხვა პაპიროსებისაგან, რომლებიც კი მოიპოვება ბაზარზე. ამის დასამტკიცებელი ისიც არის, რომ ეს პაპიროსები მეტათ ბევრი ვრცელდება პაპიროსის მწეველთა შორის. (3—გ.—3)

ნამეტი, ლიდია, ნინუცა, ანიჩკა, ანტონ, აკაკი, იესე და გრიშა ამალლობელნი, ანეტა და სინო მაჭავარიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ და ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას დ. ქიათურაში: პირველი—საყვარელი შვილისას, მეორე დაუვიწყარ მეუღლის, მესამენი—ძვირფას ძმის, მეოთხენი საყვარელი სიძის

**აზნ. პავლე იასონის ძის ამალლობელისას.**

გამოსვენება დ. დაფნარში (საჯავახო) ხუთშაბათს 1 აპრილს, ნაშვადღევის 4 საათზე.

ქვრივი სალომე თვალიაშვილისა, სანდრო და ვასო თვალიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი საყვარელი შვილის და მეორენი ძვირფასი დის

**ანნა ზაქარიას ასული თვალიაშვილის**

უდროვოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე ორშაბათს, 29 მარტს. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან დილის 9 საათზე. ნაძალადევი, ხუდადოვის ქ. № 6.

## ქართული თეატრი

**ორშაბათს, 29 მარტს მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა** გამართავს წარმოდგენას

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის, მ. მ. საფაროვის, ვ. აბაშიძის, კ. ყიფიანის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ხათაბალა

კომ. 4 მოქ. და 5 სურათათ თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა.

მოთამაშენი ქ-ნნი: ნ. მ. გაბუნია-ცაგარელი, მ. მ. საფაროვ აბაშიძე, ნ. გამყრელიძე, ა. ნებიერიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ა. იმედაშვილი, შ. საფაროვი და სხ.

ადგილების ფასი: ლოჟები 7 მ. 12 მ.-დე; პარტერი 1 მ.-დან ვიდრე 4 მ.-დე; გალერეია 25—60 კ.-მდე.

**დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.** რეჟისორი ვ. აბაშიძე·

სახალხო უნივერსიტეტი

**კვირას, 28 მარტს,**

## ბ. ივანოვი

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

—**„უაჯისჭია და მისი ცხოვრება“**—

დასაწყისი დილის 11 საათზე. ✖ ბილეთების ფასი 5—10 კ-მდე.

—ლექციის დროს აჩვენებენ ცოცხალ სურათებს—

## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, ყოველ ნაირ თეთრეულებს.

მსურველთ შეუძლიათ მიმიწვიონ ოჯახებში სამუშაოთაც.

0—1 **ადრესი:** მატინოვის ქუჩა № 9.

ამით ჩვენ ურჩევთ ყველა მეაბრეშუმეთ ნუ მოერიდებიან ცოტათი მეტ ფასს და შეიძინონ

## „სოტირი ადრის“ (ბაღდადის)

## აბრეშუმ ს თესლი

თუმც ეს თესლი შეიძლება სხვაზედ ცოტათია მეტი ღირდეს, სამაგიეროთ, ყოვლად საიმედო და უტყუარი გამოდის, რადგანაც, როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, ეს ფირმა საზღვარგარეთ ყველაზედ საუკეთესოთ უცნიათ და ოფიცალურ დაწესებულებას უმაღლესად დაუმტკიცებია. **რომ ეს თესლი იაფათ შეიძინოთ, უნდა მიმართოთ პირდაპირ ფაბრიკის სკლადში, ბათუმში მარინსკი პროსპექტზე № 19 სახლში, (საურთიერთო ბანკის ქვეშ).** (12—10)

## ერიდეთ

**შეცდომაში არ შეხვიდეთ!**

რა საჭიროა 10 ცალში 5 კაპ. იხადოთ, როცა იმავე ფასში შეიძლება ორჯერ მეტი უკეთესი პაპიროსები იყიდოთ:

**ДРУЖБА И ТОВАРИЩЪ** 20 ცალი 5 კ.

რომ პაპიროსები საუკეთესო ხარისხის არის, ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ ბაზარზე გამოიტანეს ამ ფირმის ყალბი პაპიროსები, ამიტომ ყიდვის დროს ფრთხილათ იყავით, მიაქციეთ ყურადღება ფაბრიკის

**მარკას და ფირმას**

## ნ. ი. ბოზარჯიანცი

მე-თ

თფილისში (5—2)

სახალხო უნივერსიტეტი

**კვირას, 28 მარტს**

## კ. ა. გორბაჩევი

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

**ფუტკართა ოჯახური ცხოვრება.**

დასაწყისი დილით 11 საათზე.

ბილეთების ფასი 5 კაპ. 10 კ-დე.


## თფილისი, 28 მარტი.

რუსეთში კონსტიტუციონურ-მონარქიული წეს-წყობილება არსებობსო, ამბობს ოქტომბრისტების ყოფილი ლიდერი, დღეს დუმის თავმჯდომარე გუჩკოვი; ეს კითხვა, მისი აზრით, მორიგ პოლიტიკურ კითხვათ აღარ უნდა ჩაითვალოს. კადეტებიც საქვეყნოთ აცხადებენ, რომ რუსეთში უფლების ძალით (de jure) კონსტიტუცია არსებობსო და კადეტმა მილიუკოვმა თავის პარტიას უწოდა მისი უდიდებულესობის ოპოზიცია. მთავრობას ბევრჯერ დაუმტკიცებია მთელი თავისი მოქმედებით, თავის ცირკულიარებით, თავის სხვა და სხვა განმარტებებით, რომ ცდებიან ოქტომბრისტებიც და კადეტებიც, მაგრამ ეს რაღაც მიზეზების გამო მივიწყებაში არის ხოლმე მიცემული. პატარა ცირკულიარი ამ ხანებში, როგორც „რუსკ. ვედ.“ გვაუწყებს, გამოუცია პოლიციის დეპარტამენტს შესახებ არალეგალურ ს. დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებისა. ამ ცირკულიარის სული და გული, ცენტრალური ადგილი აშკარათ მოწმობს, თუ როგორ ესმის და ცხოვრებაში ატარებს კონსტიტუციონურ აზრებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ჩვენ არ ვიცით, რამდენათ მართალია პოლიციის დეპარტამენტის ცნობები ს.-დ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე, ამაზე არც კი შეგვიძლია ვთქვათ და არც არა, ჩვენ ვიგულისხმოთ, რომ მსგავსი დადგენილება მართლა მოხდა: ვსთქვათ, რომ ცენტრალური კომიტეტი იწვევს ს.-დემოკრატებს რწმენით მიიღონ მონაწილეობა ლეგალურ დაწესებულებებში, კულტურულ და საზოგადოებრივ საქმეებში. ჩვენ არ ვეხებით დადგენილების იმ მუხლს, საცა ლაპარაკია არალეგალურ დაწესებულებაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგანაც არალეგალური დაწესებულება კონსტიტუციონურმა სახელმწიფომ არ იცის, და არ იცის კი იმიტომ, რომ კავშირები, საზოგადოებები, პოლიტიკური პარტიები და სხვა ბევრი რამ კანონით ნებადართულია. ჩვენ შევჩერდეთ ამ ჟამათ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მეორე ნაწილზე, თუ მართლა არსებობს ასეთი რამ,—ამის პასუხისმგებლობა სავსებით პოლიციის დეპარტამენტის კისერზეა. რას ამბობს ეს მეორე ნაწილი? მიიღეთ მონაწილეობა ლეგალურ დაწესებულებებშიო. მერე რაა აქ კანონის საწინააღმდეგო? თუ ივანე, პეტრე და სხვები ლეგალურ დაწესებულებაში მოიქცევიან კანონის გარეშე, ამას ხომ პოლიცია და სხვა ორგანოები მთავრობისა შეხედვენ და შესაფერის შემთხვევაში პასუხის გებაშიც მისცემენ; ამის მაგალითები ყოფილა და კიდევ იქნება! მაშასადამე, რისთვის დასჭირდა ახლა პოლიციის დეპარტამენტს ახალი ცირკულიარით მიმართვა გუბერნატორისადმი, „გრადონაჩალნიკებისადმი“ და ჟანდარმთა მართველობის უფროსებისადმი? აი აქ კი ჩვენ ეჭვი გვებადება სულ სხვა რამეში. ლეგალურ დაწესებულებებში დღეიდან, ამ ცირკულიარის გამოცემის შემდეგ, გაჩნდებიან ისეთი პირები, რომლებიც თავის ხელობათ გაიხდიან შეთხზან დანაშაულობანი, მოიგონონ ის, რაც მართლა არ არსებობს და მთავრობას მისცენ ხელში ახალი იარაღი განსაკუთრებული წესების გასაძლიერებლათ. ცირკულიარს, როგორც „რუსკ. ვედ.“ იუწყება, უკვე ნაყოფი გამოუღია: ადგილობრივ პროკურორები იკრიბებიან და იმაზე ბჭობენ, თუ როგორ მიუყენონ 102 მუხლი სისხლის სამართლის მომავალ დამნაშავეთ. ალბათ, მსჯელობა აწი იმაზე ექნებათ, თუ როგორ ჩაიგდონ ხელში მომავალი მსხვერპლები. ამის ძებნის ნადაგზე ლეგალური საზოგადოებები, ლეგალური საზოგადო „სიეზდები“, ლეგალური დაწესებულებები გადაიქცევა პროვოკაციის ახალ სარბიელათ, ახლა იქ ამოყოფენ თავს ახალი აზეფები. მსგავსი ცირკულიარები მხოლოდ მსგავს შედეგებს მოიტანენ. და რომ მთავრობა დაინტერესებული იყოს რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების ნორმალურ განვითარებაში, მაშინ ამ გვარი ცირკულიარების ადგილზე უნდა შემოიღოს ყველა პარტიების, კავშირების სრულიათ თავისუფალი არსებობის კანონი და არა მარტო განსაზღვრულ პარტიათა, როგორც ამ ხანათაა ნებადართულ შავრაზმელების და ოქტომბრისტების კავშირები, სხვების კი კანონს გარეშეა გამოცხადებული.—ეს მოვალეობა თავს აწევს არა მარტო მთავრობას, არამედ—სახელმწიფო დუმასაც, რომელშიაც გაბატონებულ უმრავლესობათ დღემდე კიდევ ოქტომბრისტები ითვლებიან. როდესაც ასეთი კანონი გამოიცემა და ცხოვრებაში გატარდება, მაშინ ჩვენც ვიტყვით: კონსტიტუცია რუსეთში ფეხს იკიდებს თქვა, მანამდის კი კონსტიტუციის არსებობა რუსეთში ოცნების სფერას ეკუთვნის.

## სახელმწიფო დუმა

(სააგ. დეპ.)

**26 მარტი.**

26 მარტის სხდომაზე, გუჩკოვის თავმჯდომარეობით, ალექსეენკომ მოხსენება გააკეთა 1910 წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის კანონის პროექტის შესახებ. მთელი წლის შემოსავალი 4,496,373 მანეთით მეტია გასულზე. პროექტს ღებულობენ, მომხსენებელს წინადადება შეაქვს უკეთუ უთანხმოება მოხდა საბჭოსა და დუმას შორის, შესდგეს შეთანხმებული კომისია. წინადადებას ღებულობენ, შემდეგ მესამეჯერ იხილავენ სასამართლოს რეფორმათა შესახებ კანონ-პროექტს. წარდგენილია 255 შესწორება. შუბინსკის წინადადებას—შენახულ იქნას სავოლოსტო სასამართლოები წვრილ საქმეებისთვის. მხარს უჭერენ გრ. უვაროვი, ბერეზოვსკი მეორე, სუშკოვი და ტიმოშკინი. წინააღმდეგია ჩერკასოვი დანიკოლენკო. კენჭის ყრით შესწორებას უარყოფენ.

**შუბინსკი** მოხსენებას აკეთებს იმ მუხლის შესახებ, სადაც ნათქვამია სასამართლოებში საქმის წარმოება რუსულ ენაზე უნდა სწარმოებდეს, ხოლო იმ ადგილებში, სადაც მეტი წილი სხვა ენებზე ლაპარაკობენ, შესაძლებელია ადგილობრივ ენაზე საქმის წარმოება. ამ მუხლის შესახებ კომისიის ყველა შესწორებებს უარყოფენ, გარდა ქნენძ მაცევიჩისა, რომ ფიცი სამშობლო ენაზე უნდა მოხდეს, უკეთუ ამას მოითხოვს დასაფიცებელი პირი. დუმა ღებულობს ამ მუხლს კომისიის რედაქციით და ქნენძ მაცევიჩის შესწორებით.

შემდეგ ღებულობენ ყველა მუხლებს ხუთმეტამდე. სხდომა სწყდება.

საღამოს სხდომაზე დაესწრო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

**შუბინსკი** მოხსენებას აკეთებს სოციალდემოკრატების და ტრუდოვიკების ფრაქციის 32 წევრის შეკითხვის შესახებ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი ძირითად კანონების 96 მუხლის შესახებ 1909 წელს 24 აგვისტოს წესების გამოცემის შესახებ. კომისიამ ეს შეკითხვა შემდეგი მოსაზრებით მიიღო: რომ აღნიშნული წესებს უმაღლეს უქაზის მნიშვნელობა აქვთ და რომ შეკითხვა შეიძლება მინისტრების და მისი ხელქვეითების უკანონო მოქმედების შესახებ და არა უმაღლეს უქაზების. (მარჯვნით და ცენტრის ნაწილში ტაშისცემა)

**გეგეჭკორი** ამტკიცებს, რომ ს.-დემოკრატები იცავენ კანონიერებას არა მესამე დუმის პრესტიჟისათვის, არამედ—ხალხის სახელისთვის. ის ანალიზს უკეთებს შეკითხვას. მომხსენებელის განცხადება, თითქო შეკითხვა შეიძლება მინისტრების მოქმედების შესახებ და არა უმაღლეს აქტის, ყველა კონსტიტუციონურ სახელმწიფოების თეორიას და პრაქტიკას ეწინააღმდეგება: უპასუხისმგებლო უმაღლესი მთავრობის მოქმედებაში მუდამ პასუხის-მგებელნი არიან მინისტრები, რომლებიც მსვლელობას აძლევენ უმაღლეს აქტს. ორატორი დაწვრილებით იხილავს სამხედრო სპეციალურ მუხლებს, ადარებს ერთი მეორეს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ სავსებით ირღვევა ძირითადი კანონების 96 მუხლი. ს.-დემოკრატების სურვილია გამოაშკარაოს მთავრობის მლიქვნელობა, რომელიც თვის მოქმედებაში მარტო ძალმომრეობით ხელმძღვანელობს (მარცხნით ტაშისცემა).

**ბულატი** აცხადებს: შრომის ჯგუფი აშკარათ ხედავს, რომ 24 აგვისტოს წესებით ძირითადი კანონები დაირღვა და მათი ვალია დაიცოს ხალხის ინტერესები სხდომა იხურება. შემდეგი—შაბათს 27 მარტს.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 მარტი.

## ოსმალეთი

**სოფ. ლაბეს** ახლო ალბნელები თავს დაესხენ ოსმალთა რაზმს. დაიღუპა 8 სალდათი. ხმები დადის, პრიშტინაში სერიოზული არეულობა მოხდაო. არეულობაა ოლქის სხვა ადგილებშიაც. სალონიკის სამხედრო სასამართლომ ოთხი წლის ციხე გადაუწყვიტა საბერძნეთის საკონსულოს მოხელეს ბერძნების ბრბოში მონაწილეობის მიღებისათვის.. უკანასკნელი ცნობების მიხედვით მეფე პეტრე არ დარჩება სალონიკში.

**სტამბოლი.** პრიშტინის მუტასარიფის ცნობით 20 მარტს აჯანყებულებთან ბრძოლის შედეგი, რომელიც 2 საათს გაგრძელდა, ქალაქში და მახლობელ სოფლებში მშვიდობიანობის აღდგენა იყო.

მინისტრთა საბჭომ უარყო ალბანელთა წინადადება იპეკში მომრიგებელ დელეგაციის გაგზავნის შესახებ და დაადგინა: იმ ადგილებში, საცა აჯანყებაა, გამოცხადებულ იქნას საალყო წესები, გაგზავნილ 16 ბათალიონს მიუმატეს 18 ბათალიონი, საერთო უფროსობა ჩააბარონ შევკეთ-ტარგუდ-ფაშას, დანაშაულობათა შესახებ საქმის გარჩევა გადასცენ სამხედრო სასამართლოს, მიანდონ რაზმის უფროსს ხარჯების აკრეფა, მცხოვრებთა აღწერა, აღწერა და შეფასება უძრავ ქონებათა, რომელთაც ხარკი დაედება. შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი დარწმუნებული არიან, რომ ექსპედიცია შესძლებს საჩქაროთ ჩააქროს მოძრაობა, რომელიც მოედო მთელ გოსსოვსკის ვილაეტს.

ალბანელებმა ოსმალებს წაართვეს ერთი ზარბაზანი. მიტროვიციდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ჯარი ცოტაა და მოძრაობა იზრდება, რომელსაც სათავეში უდგასალბანელთა ბელადი ისსა—ბოლიეტი-ნაცი, რეაქციონერი, ცნობილი თავისი ყაჩაღობით. მთელ ალბანიაში მოქმედებენ სამხედრო სასამართლოები. გამონაკლის შეადგენს სალონიკი, რადგან იქ დანაშაულობა არ ხდება.

## საზღვარ-გარეთ

**ვენეცია. ტარნოვსკაიას საქმე.** პეტერბურგელი ვექილი იზრაილევიჩი, რომელსაც კავშირი ქონდა პრილუკოვთან საქმეებისა გამო, აქებს მას და აცხადებს, პრილუკოვი მუდამ რიგიანათ ცხოვრობდაო. მე მეტათ გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ პრილუკოვმა გაიტაცა თავის კლიენტების ფული და რუსეთიდან გაიქცაო. მან დაუმატა, რომ პრილუკოვს შეეძლო ძალიან ბევრი ფული მიეთვისებიაო. შემდეგ კითხულობენ სხვა მოწმეების და მათ შორის პრილუკოვის მოსამსახურის ჩვენებას, რომელიც მას სახავენ მჟუაით მუშაკათ და პატიოსან კაცათ. შემდეგ კითხულობენ ნაუმოვის ყოფილი ამხანაგის ჩვენებას, რომელიც ამბობს, რომ გიპნოტიზმისცდის დროს ნაყოფი მუდამ მორჩილი მედიუმი იყოო.

**ბერლინი.** პოლიციამ ნება დართო სოციალ-დემოკრატებს, რომ კვირას ტრეპკოვის პარკში საარჩევნო რეფორმის შესახებ გამართონ საპროტესტო მიტინგი. ნება დართეს აგრეთვე წინეთ აკრძალული კრება გუმბოლდსკის პარკში.

**ლონდონი.** სათემო პალატა. კითხვებზე პასუხის გაცემის დროს გრეიმ განაცხადა, რომ მან არ იცის, რომ რუსეთის მთავრობას პირობა დაედო ოდესმე განსაზღვრულ დროს სპარსეთიდან ჯარის გაყვანის შესახებ. მან მხოლოდ განზრახვა გამოსთქვა, რომ როცა მშვიდობიანობა ჩამოვარდება სპარსეთში, მაშინ გავიყვანენ ჯარსო. რუსეთის ჯარის მიერ ჩრდილოეთ სპარსეთის ზოგიერთ ადგილების დაკავება არ უნდა ჩავთვალოთ სპარსეთის დამოუკიდებლობის დასარღვევათ. ჩვენი თავრიზელი კონსულის სიტყვით, რევოლიუციონური მოძრაობის საბოლოოთ ჩაქრობამდი რუსეთის ჯარის გასვლა მთელ ევროპის მცხოვრებთა შორის დიდ შიშს გამოიწვევდა.

სათემო პალატამ 339 ხმით 267 წინააღმდეგ მიიღო პირველი რეზოლიუცია ლორდების ვეტოს შესახებ, რომლის მიხედვითაც ზედა პალატას ეკრძალება ფინანსიურ კანონ-პროექტების უარყოფა, რომელსაც სათემო პალატა მიიღებს.

**ვენეცია. ტარნოვსკაიას საქმე.** სალამოს სხდომაზე გრძელდება მრავალ რუს მოწმეების ჩვენების კითხვა, რომელნიც ნაუმოვისა და ტარნოვსკაიას ცხოვრების შესახებ იძლევიან კარგ ცნობებს. მხოლოდ ერთი მოწმე ცუდათ იხსენებს ტარნოვსკაის და ამბობს, მე მწამს, რომ ბერუტევსკის მისი ქმარის მიერ მოკვლის მიზეზი თვითონ ის არისო. კითხულობენ კომაროვსკის დის წერილს, ტარნოვსკაიასთან მიწერილს, სადაც ის ტარნოვსკაიას კარგათ იხსენიებს. კითხულობენ დოკუმენტებს, რომელიც ეხება ბრალდებულთა ოჯახის სხვა წევრებს.

**ლონდონი.** სათემო პალატა. გრეიმ, სათანადო კითხვაზე პასუხის გაცემის დროს განაცხადა, რომ არავითარი ცნობები არ მიუღია, თითქო დეიტშე-ბანკის მხრით რაიმე წინადადება ყოფილიყოს სპარსეთისთვის სესხის მიცემის შესახებ; მას არ შეუძლია აგრეთვე სთქვას, რა პოზიციას დაიჭერს ინგლისი და რუსეთი საერთოთ სპარსეთის სესხის შესახებ, სანამ რუსეთის პირობები არ არის ცნობილი. კითხვაზე. თხოულობს თუ არა რუსეთი, რომ ჩრდილოეთ სპარსეთში პოლიციის რაზმებს მეთაურობდენ რუსის ოფიცრებიო, რასაც, როგორც ამბობენ, მხარს უჭერს ინგლისიც,—გრეიმ უპასუხა: არაფრის თქმა არ შემიძლია სესხის პირობების შესახებ, ვინაიდან მოლაპარაკება ამ კითხვაზე კიდევ გრძელდება". კითხვაზე,—აქვს თუ არა ინგლისს უფლება საბერძნეთ-სპარსეთში რკინის გზის აშენებისაო, გრეიმ უპასუხა: ინგლისის მთავრობა აღნიშნულ პირობას ჯერ კიდევ არსებულათ სთვლის, თუმცა ინგლისი ამ პირობის განხორციელების დროს არ გადაუხვევს ინგლის-რუსეთის შეთანხმების მუხლებს.

## რუსეთი

**მოსკოვი.** სამოსამართლო პალატაში დაიწყო 1905 წლის გლეხთა კავშირის საქმის გარჩევა. ბრალს სდებენ ოთხ კაცს, მათ შორის მწერალ ტანს (ბოგორაზი).

**ჩერნიგოვი.** კოზელეცკის სატუსაღოში მუშაობის დროს ორი საკატორღე ტუსაღი მივარდენ ციხის ზედამხედველს და ცულით თავი გაუჩეხეს. შემდეგ წაართვეს რევოლვერი და გაიქცენ. მათ გამოუდგენ პოლიციელები და გლეხები. ერთმა ტუსაღმა თავი მოიკლა, რაკი შეატყო, რომ დაიჭერდენ.

**ეკატერინოსლავი.** დებალცევოში პოლიციელებს, როცა მათ ორი ბოროტმოქმედი დაიჭირეს და მიყავდათ, თოფები დაუშინეს საფრიდან. გაიკაწრა ბოქაული, დაიჭრა დარაჯი. ერთი ბოროტმოქმედი გაიქცა ბორკილებით.—ნოვომოსკოვსკის მაზრაში გლეხებმა მოკლეს ორი ცხენის ქურდი.

**ირკუტსკი.** სადგ. ნიჟნეუდინსკის მემანქანემ ეჭვიანობის გამო მოკლა ინჟენერი გრიდინი და მისი ცოლი.

**პოლტავა.** ხოროლსკის მაზრაში მოვიდენ უცნობები და ფულები მოსთხოვეს, რაკი უარი მიიღეს, მოკლეს სახლის პატრონი, გაიტაცეს 210 მ. და გაიქცენ.

**გროდნო.** პრუჟანსკის მაზრაში, დაბა მალეჩის ახლოს შეიარაღებულმა ყაჩაღებმა გაძარცვეს 20 მგზავრი. წაართვეს 1436 მანეთი.

### რა გვაქვს საერთო?

არსად, არც ერთ ქვეყანაში არ ყვირიან იმდენს ეროვნულ აღორძინებაზე, ხალხის ძალთა კონცენტრაციაზე, რამდენსაც ჩვენში. მარა, არსად ისე არ ეშინიათ დემოკრატიის, ხალხის ფართო მასსის თვით-მოქმედების, როგორც ჩვენში.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენში შეუძლებელია ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვანი მოძრაობა გარეშე დემოკრატიისა. დიახ, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა; მარა ეს ჭეშმარიტება მივიწყებულია სწორეთ იმათგან, ვინც ყოველ დღე ქართველი ერის კეთილდღეობაზე ყვირის, და თავის თავი მთელი ხალხის მხსნელათ და ერთათ-ერთ ჭირისუფლათ მოაქვს.

ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენ ნაციონალისტურ პრესას, ის უთუოთ შენიშნავდა, თუ რა ისტერიული წივილ-კივილია ატეხილი, რა ნიანგის ცრემლებს ღვრიან, და როგორ მოსთქვამენ იმის შესახებ, რომ ჩვენ, ქართველები არ ვარგვართ, გადავგვარდით, გადავშენდით, არ მოგვეპოვება ენერგია, სურვილი, ხალისი, მოკლებული ვართ თავის დაცვის ინსტინქტს, გაჟღენთილი ვართ მონური ფსიხოლოგიით და სხვ. მარა საკმარისია მშრომელი მასა საზოგადო ასპარეზზე გამოვიდეს, თვითმოქმედების ფხა და უნარი გამოიჩინოს, რომ იგივე პრესა მის წინააღმდეგ დაუსრულებელ განგაშს სტეხს და ჯოჯოხეთის ძალებსაც კი მოუხმობს მათ წინააღმდეგ.

არ ყოფილა არც ერთი კითხვა, რომელშიც კი ხალხის ფართო მასას მონაწილეობა მიუღია, რომ ამ პრესას ერთხელ მაინც მისთვის მხარი დაეჭიროს და მისი სამართლიანობა აღეარებინოს. პირიქით, ის ან იბრძვის ასეთ კითხვების წინააღმდეგ და „სამშობლოს დაცვის და პატივის" სახელით მის უარყოფას, უკუგდებას მოითხოვს, ან და სდუმს, ხმას არ იღებს, მხოლოდ ხანგამოშვებით ნიშნის მოგებით დასწერს: „თავისი ვერ გაიტანესო", და ერის მწარე ხვედრზე მოთქმა-ტირილს განაგრძობს.

ვინც მათ არ ეთანხმება, ვინც მათსავით ტირილ-გოდებით არ კმაყოფილდება, ვინც მათსავით ჯვარედინ გზაზე „სამშობლოს გაუმარჯოს" არ იძახის, ის ერის გამყიდველია, ის უსაქმურია, ის არაფერს არ აკეთებს თავის ერის სასარგებლოთ. რომ ეს ასეა, ამას ცხადათ ამტკიცებს, სხვათა შორის, ბ. არჩილ ჯორჯაძის უკანასკნელი წერილები: „დემოკრატიის გაერთიანება".

ბ. ჯორჯაძე, ეს „სხვა და სხვა პარტიაში მოხეტიალე" მწერალი, ჩვენი დიდიდი ხნის ნაცნობია. ის მუდამ „გაჭირვების დღისათვის", არის შემონახული. როცა ჩვენი მოწინააღმდეგენი მთელ რიგ უტაქტობას ჩაიდენენ, როცა მათი უპრინციპობა, ულოღიკობა უმაღლეს მწვერვალს აღწევს, მაშინ გამოჩნდება ხოლმე ბ.-ნი ჯორჯაძე და ამ უპრინციპობის და ულოღიკობის დასაფარავათ შეუდგება ჩვენთან კამათს. მარა გვეკამათება სრული ფედერალისტური სიდარბაისლით. ის ხელათ აღმოაჩენს ჩვენში „სიყალბეს", „სიცრუეს", „უსვინდისობას", „მასხარაობას", „ჯამბაზობას" და სხვა ასეთებს. თავისიანების ყველა საკუთარ თვისებებს ჩვენ მოგვაწერს და მით ლამობს მისიანების სიდუხჭირის დაფარვას. ის მუდამ გამოლმა გვედავება, რომ მით გაღმა გადავება შერჩეს. მარა, სხვამ თუ არა, ბ-ნმა ჯორჯაძემ კარგათ უნდა იცოდეს, რომ მას არას დროს არაფერი არ შერჩენია, მისი გამოლმა გამოდავება მუდამ „მარცხით" გათავებულა და ამ დავიდან სახლში მუდამ იარაღ-აყრილი და სასტიკათ დამარცხებული გაბრუნებულა.

ყველა გზა რომში მიდისო—ამბობენ. ეს თქმულება კარგათ იცის ბ. ჯორჯაძემ. მისთვის ყველა გზა ერთ ადგილას უნდა იყრიდეს თავს. ეს არის მისი სატრფიალო **„საერთო ნიადაგი."** ამ საერთო ნიადაგის ძებნა-კვლევაშია ის გართული დიდიდან თავის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა, მაგრამ დღემდის მიზანს ვერ მიაღწია სავსებით. სავსებით-თქვა ვამბობთ, იმიტომ, რომ ჩვენი ხალხის ერთი ნაწილი, რომელთა რიცხვში ჩვენც ვსთვლით თავს, „სათოფეზე" არ ეკარება ამ საერთო ნიადაგს, მუდამ გაურბის და გვერდს უქცევს.

ცდა ბედის მონახევრიაო,—ამბობენ, და აი, ბ. ჯორჯაძე ერთხელ კიდევ ცდის ბედს და გაერთიანებისაკენ გვიწვევს. ეს გაერთიანება ბ. ჯორჯაძეს შესაძლებლათ მიაჩნია „პირველათ იმიტომ, რომ გაერთიანებაშია დღეს ხსნა. მეორეთ იმიტომ, რომ სოციალდემოკრატების და ჩვენ შორის არსებული უთანხმოება ზერელეა და პრინციპიალური ხასიათის უთანხმოებათ არ მიგვაჩნია. და ეს ჩვენთვის სავსებით გახდება ნათელი, როდესაც გადავავლებთ თვალს წარსულ თვეებში ჩვენ შორის აღძრულ სადაო კითხვებს"-ო („დრ." 60).

როგორც ვხედავთ, ბ. ჯორჯაძის აზრით ჩვენ შორის არსებულ უთანხმოებას პრინციპიალური ხასიათი არ აქვს, ის ზერელეა. ამის დასამტკიცებლათ ის „თვალს ავლებს" ამ უკანასკნელ თვეებში «ჩვენ შორის აღძრულ სადაო კითხვებს» და ამ თავიდან ის დასკვნა გამოყავს, რომ ჩვენც თუ ვიქონიებთ „გაბედულებას" და „ჰო"-ს ვიტყვით „იქ, სადაც „ჰო" არის სათქმელი", ჩვენი გაერთიანება არც თუ ისე ძნელი და შეუძლებელია. „მოპირდაპირეთ (ე. ი. ჩვენს) ყველა მოთხოვნათა სიას ხვალვე მოვაწერ ხელსო"—გვარწმუნებს ის.

გამოდის რომ ჩვენ თურმე ვკინკლაობდით და „ჯავრს ვიყრიდით «დროებაზე».

გავყვეთ ბ. ჯორჯაძეს კვალ და კვალ და ვნახოთ, მართლა ზერელეა ჩვენ შორის უთანხმოება, მართლა ვკინკლაობდით და „ჯავრს ვიყრიდით «დროებაზე", თუ ჩვენ შორის უთანხმოება პრინციპიალური და უფრო ღრმაა, ვინემ ეს ბ. ჯორჯაძეს ჰგონია.

**პირველი**—წრე და მის გარშემო ატეხილი დავა. «ყველამ იცის—სწერს ბ. ჯორჯაძე--რომ სექციის კავშირი უნივერსიტეტთან იყო ფიქტიური, რადგან უნივერსიტეტი არავითარ დახმარებას არ უწევდა თეატრალურ სექციის საქმე"... „არასოდეს სახალხო თეატრის საქმე არ იყო ისე კარგათ დაყენებული, როგორც ეს იყო წარსულ შემოდგომა-ზამთარში მარა ამ ნიადაგზე მოხდა დიდი აურ-ზაური" (იქვე)

ჯერ საჭიროა ფაქტიური მხრის შესწორება.

მართლაც ყველამ იცის, რომ უნივერსიტეტი თუ არ ეხმარებოდა, არც ხელს უშლიდა სექციის მუშაობას, სექცია სრულიათ დამოუკიდებელი იყო თავის შინაურ საქმეებში, მას სრული ავტონომია ქონდა და არავინ არ იჭრებოდა მის შინაურ საქმეებში. ყველამ იცის, რომ თეატრის საქმე მშვენივრათ მიყავდა სექციას, ყველამ იცის, რომ სექციის გამოყოფა და „წრის" დაარსება მოახდინა ორმა ინტრიგანმა, ყველამ იცის, რომ სახ. თეატრის „ცნობილმა მოაჯაგენმა" თავის მფარველობის კალთა გადააფარეს ამ ინტრიგანებს და ინტრიგის ნიადაგზე აღმოცენებულ „დამოუკიდებლობის" დასაბუთებას შეუდგენ, მარა ვერც ერთი ანგარიშის გასაწევი საბუთი ვერ მოიყვანეს, გარდა „მსურს და გვინდა"-სი. „დამოუკიდებლობის" მოტრფიალე წრემ დრამატიული გამგეობასთან დამოკიდებულება არჩია, ვინემ უნივერსიტეტთან. მოიგონეთ წრის წესდება, მოიგონეთ რომ პირველ კრებაზე წრემ ერთი მუშაც კი არ აირჩია არც ერთ სათეატრო კოლეგიაში და სხვადასხვა. წრემ გადაამტერა სახალხო თეატრი ხალხს და სხვა რომ არა იყოს რა, ეს ისეთი დიდი დანაშაულია, რომ ნამდვილი დემოკრატი ამას არამც თუ მოიწონებს, მთელი თავის ძალ-ღონით შეებრძოლება. თუ უნივერ. გამგეობა არ ვარგოდა, ამისთვის საჭირო იყო ამ გამგეობის გადაყენება და სხვას არჩევა. სად გინახავთ, რომ ხე ძირში მოეჭრათ იმისთვის რომ მის ფოთლებს ავათმყოფობა გამოაჩნდა?

მარა ვთქვათ, ჩვენ ვცდებოდით როცა წრის წინააღმდეგ ვიბრძოდით. სად ბრძანდებოდით თქვენ, რატომ ერთხელ მაინც არ თქვით, რომ ჩვენ ვცდებოდით, რომ ჩვენ საქმეს ვღუპავდით? რატომ, ერთი პატარა წერილი მაინც არ უძღვნა „დროებამ" ამ [illegible] კითხვას? ეს არ მიგაჩნიათ ყურადღების ღირსათ?

ჩვენ მუდამ იმას გვაყვედრით: შინაურ კითხვებს ყურადღებას არ აქცევთ „სპარსეთით და ინგლისით აჭრელებთ გაზეთსო". აი ბატონებო შინაური კითხვა—სახალხო თეატრი, რომელსაც ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. რატომ სდუმდით ამ სერიოზული კითხვის დროს. (მარა როგორც ქვევით დავინახავთ, თქვენ მარტო ამ კითხვაში კი არ სდუმდით, არამედ—ბევრ შინაურ და გარეშე საჭირბოროტო კითხვაში). თუ კი თქვენ „ყველა ჩვენს მოთხოვნებს მოაწერთ ხელს" და ეს მოთხოვნები თქვენს პრინციპებს არ ეწინააღმდეგება (აკი ამბობთ პრინციპიალურ უთანხმოებათ არ მიგვაჩნიაო) მოაწერეთ ხელი, რომ სახალხო თეატრი სექციას გადაეცეს, მარა მარტო ხელის მოწერა კი არ კმარა. ვექსილი კი არ არის უმთავრესი. თავი და თავია ამ ხელმოწერილი თამასუქის რეალიზაცია, მაშ, გადაიხადეთ ვალი. „ნედოიმკებს" გაპატიებთ.

კულტურული დაწესებულებების ერთათ თავის მოყრა, ამ დაწესებულებებში თვით მუშების ჩაბმა და ამ რიგათ მათი პოლიტიკურათ და კულტურულათ აღზრდა, მათი თვითმოქმედების განვითარების ხელის შეწყობა. ამ ორგანოების გარშემო ფართო მასსის შემოკრება და მით მასსის ორგანიზაციების მოწყობა-შეკავშირება. ამას ხელს უშლის ცალკე წრის დაარსება, ის არღვევს და აქუცმაცებს საერთო ძალას და მით რეაქციის საქმეს აკეთებს. ნებით თუ უნებლიეთ ეს სულ ერთია. აი ჩვენი ლეიტ-მოტივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. თუ თქვენც თანახმა ხართ ამის იქონიეთ „გაბედულება სთქვათ, „ჰო" იქ, სადაც საჭიროა მისი თქმა! ჯერი თქვენზეა. თუ აქ „ჰო"-ს ვერ იტყვით, სჩანს ჩვენი განსხვავება არც ისე ზერელე ყოფილა, როგორც თქვენ მიგაჩნიათ. და რომ ეს ასეა, ეს უფრო ცხადათ სჩანს ბ-ნ ჯორჯაძის წერილის შემდეგი სტრიქონებიდან: „ჩვენ გვგონია, რომ თავი და თავი ის არის, რომ თეატრში ხალხი დაიარებოდეს და ამ ხალხს თეატრი ესთეტიკურ გემოვნებას უღვიძებდეს. ეს პირველი პირობაა თეატრის სარგებლობისა. **და თუ ამასთან ხერხდება ისიც, რომ თეატრს თვით მუშები გაუძღვებიან, ძალიან კეთილი.** (ხაზი ჩვენია) თუ ეს სხვადასხვა მიზეზების გამო არ მოხერხდება, თეატრს არ უნდა მივაფურთხოთ".

ხაზ გასმული სიტყვები ნათლათ ამტკიცებს, რომ ამ კითხვაში ის, რასაც ჩვენ პირველ ადგილს ვუთმობთ, რომელსაც ჩვენთვის პრინციპიალური ხასიათი აქვს, ბ. ჯორჯაძისთვის სხვათა შორის არის, თუ იქნება ხომ კარგი, და თუ არა—დიდი არაფერია.

სახალხო თეატრის მართვა გამგეობა ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. ის სახალხო მაშინ არის, როცა მას განაგებს ხალხი. „ესთეტიურ გემოვნების განვითარება" საზაზინო, არტისტიულ, ქერძოულ და სხვა ასეთ თეატრებსაც შეუძლია, მარა ისინი სახალხო, ასეთ პირობებში, ვერასოდეს ვერ გახდებიან. ჭეშმარიტი დემოკრატი ყოველივე საშვალებას ხმარობს, საქმე ისე მოაწყოს, რომ სახალხო საქმე უხალხოთ არ კეთდებოდეს. მისი დევიზია: **ყველაფერი ხალხისთვის, ხალხისავე საშვალებით.** ბ. ჯორჯაძე კი ამ ფორმულის პირველ ნახევარს თითქოს ღებულობს, ხოლო მეორე ნახევარს—თუ იქნება კარგია და თუ არა რა გაეწყობა; თითქოს ყველაფერი ხალხისთვის, ხოლო ვისი საშვალებით ეს მისთვის სულ ერთია.—ეს კი ძირიანათ ეწინააღმდეგება ჩვენს შეხედულებას. ეს ზერელე უთანხმოება კი არ არის, არამედ—პრინციპიალური. თუ კი ამ ფორმულას მოაწერს ხელს ბ. ჯორჯაძე, უნდა დაასკვნას, რომ ჩვენ ამ დავაში პრინციპიალურ ნიადაგზე ვიდექით. თუ ამას მიუმატებთ დავის პირველ ნახევარს, და თუ მან უნდა ლოღიკაში დარჩეს, და „გაბედულებას იქონიებს", უნდა სთქვას, რომ როცა ჩვენ დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ვართ, და სახ. თეატრის მართვა—გამგეობის ხალხის წარმომადგენლების ჩაბარებას მოვითხოვთ—მართალი ვართ.

მარა გამოიჩენს კი ამდენ გამბედაობას ბ. ჯორჯაძე? საეჭვოა.

(შემდეგი იქნება.)

# პატარა საუბარი.

## XI

ქუთათურმა პედაგოგმა შიგ ნიშანში სტყორცნა ისარი! მან დიახაც ჩინებულათ აილო ალლო სულის-კვეთებისა ბიუროკრატიული სფერებში. იქ ახლა ლელო იმას გააქვს, ვინც მეტ უკმეხობას გამოიჩენს ქვეყნის და ხალხის მიმართ. და რატომაც არ უნდა აშლოდა სალეროლელი ჩინ-ჯამაგირების ასეთ უხვ სტყვის ჟამს ჩვენი მეორე დედა-ქალაქის „განმანათლებელს“? უკანასკნელმა ისიც კარგათ იცის უეჭველათ, რომ მისი შანსები ამ მხრივ მით უფრო დიდია, რაც უფრო მკაცრათ მოეპყრობა მის უტიფრობას **პროგრესიული** პრესა. აქედან ეს საუბარიც გამოადგება მას, როგორც ერთ-ერთი Empfehlunqsschreiben (სარეკამენდო ბარათი). მე ხომ იმდენ ჭკუასა და უნარს ვერ დავსწამებ გერმანულ ენის **ჰოტენტოტურათ** მსწავლელს, რომ გაზომოს მან მისი გაუთლელობის სიგრძე-სიგანე. მე ისიც არ მჯერა, რომ რიგიანათ ესმოდეს მას „ფილოსოფოსთა ერის“ ენა. უამისოთ ის შეიგნებდა, რომ მისი სავანი გიმნაზიაში —გერმანული ენა—არაა ხალხური ადგილობრივ, თუმცა იმავე დროს იგი მუყაითათ სცინცქლავს სწორეთ იმავე ადგილობრივ ხალხის ნაოფლარს; უამისოთ იგი მიხვდებოდა, რომ უცხო ენაზე გაცილებით უფრო პატივით და მოკრძალებით უნდა მოეპყრას მან საკუთარ მოწაფეთა ეროვნულ და კულტურულ ენას...

ჩვენ ვიცით სულ ახალი ისტორიიდან, რომ ჩაგრულ ერის ენა, თუ ცხოველის არა „მოჯამაგირეს ენათ“ მაინც უქცევიათ ხშირათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მაღალ და განათლებულ წრეებში **სამარცხვინოთ** მიაჩნდათ **მშრომელი მასსის** ენაზე სჯა-ბაასი; იგივე წესი და ადათი იყო გაბატონებული სკოლაში და ეკლესიაში. აქედან ხალხური ენა მეცნიერება-ხელოვნებიდანაც გამორიცხული რჩებოდა.

ხშირათ იტყვიან და მართებულათაც, რომ ხალხს უნდა ელაპარაკონ და ასწავლონ მისთვის გასაგებ ენაზე,—ეს მოთხოვნა სულ უცოტავესი რამაა ჭკუათმყოფელ დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ აქ შეჩერება შეუძლებელია. ენას ისე თავის თავათაც დიდი და დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. იგი არაა მარტო იარაღი-საშუალება, იგი არის აგრეთვე მიზანი **ყოველ ამომავალ და კულტურულ ერისათვის**. ენა მარტო ფორმა როდია, იგი შინაარსიცაა იმავე დროს. ენამ გვაქცია ადამიანათ, ენამვე უნდა დაგვირგვინოს ის მომავალი ხანაც, როცა სწორეთ უმაღლესი და უმწიკვლო **ადამიანობა** დამყარდება. ერის მეტყველობა დაუშრეტელი წყაროა ენის სიმკვირცხლე-სიმდიდრისათვის, ხოლო მეცნიერულ-ხელოვნური ვარჯიშობა ასუფთავებს და აღრმავებს მას. აქედან ცხადია, ენა მიზანიც ყოფილა კიდევ უფრო მაღალ მიზანის—ადამიანობის მისაღწევათ.

როგორაა საქმე ჩვენს უკულმართ სინამდვილეში? ეს კითხვა უადგილოცაა, რადგან ისედაც კარგათ განიცდიან ყველანი მის მწვავლობას და აუტანლობას. ძველადანვე გადმოგვცემენ მოციქულთა თავებზე ცეცხლის ენები აღიბეჭდაო, ჩვენ კი პირდაპირ გვგლეჯენ ენას, **იმ ენას**, რომელზედაც მთელი ერი აზროვნებს, ოცნებობს, მიილტვის... არა, ჩვენ უფრო შორსაც წავედით: ჩვენი ენა ლამის „მოჯამაგირეს ენათ“ იქცეს, და ეს არა მარტო უცხოებში, არამედ **ქართველ ინტელიგენტურ წრეებშიც**,—გადაგვარებულებზე არაა აქ ლაპარაკი. და ვაცი, სწორეთ ეს **ინტელიგენტური წრეები** აქოჩრდებიან ახლა ქუთათურ ჰოტენტოტის წინააღმდეგ. ფრანგები ყველაფერს კისკისით ათავებენო იტყვიან; ჩვენც, ალბათ, ვგევართ მათ! „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს“...

**წინწკალი.**

# ახალი ამბები

—

✦ **ექიმთა და ბუნების მეტყველთა სიეზდი.** უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო სრულიად რუსეთის ბუნების მეტყველთა და ექიმთა სიეზდი გაიმართოს თფილისში.

✦ **ქალაქის დაწესებულებათა კანტროლი.** 26 მარტის სხდომაზე ქალაქის გამგეობამ და ქალაქის ყველა კომისიების თავმჯდომარეებმა მოისმინეს მოხსენება ქალაქის გამგეობის წევრის ნ. კოჩაევისა ქალაქის დაწესებულებათა კონტროლის შესახებ. მომხსენებელის აზრით ქალაქის კანტროლს უნდა განაგებდეს ქალაქის გამგეობა და სხვა არჩეული პირები: მთავარი კონტროლიორი, რომელსაც წლიურათ 2000 მან. ჯამაგირი მიეცემა და მისი თანაშემწეები, რომელთა შენახვა წლიურათ სულ 5600 მან. დაჯდება. მოხსენება რამდენიმეთ შესცვალეს და მალე საბჭოს წარუდგენენ განსახილველათ.

✦ **ცეცხლი მეტეხის ციხეში.** გუშინ, დილის 10 ს. მეტეხის ციხეს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი პირველათ ციხის საავათმყოფოს სახურავს მოედო. ტუსაღები ციხის ეზოში გამოიყვანეს. ცეცხლი ჩააქრეს. უბედურება არ მომხდარა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არ იციან.

✦ **ახალი საავათმყოფო.** შესდგა ქალაქის საგანგებო კომისიისა და მცხოვრებთა ჯანმთელობაზე მზრუნველი კომისიისა. განიხილეს მოხსენება სიფილისით ავათმყოფთათვის ახალ საავათმყოფოს შენობის აგების შესახებ. ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშნულია, რომ შენობა 130,000 მ. დაჯდება. საავათმყოფოს ექნება 100 საწოლი. ყოველ წლიურათ საავათმყოფოს შესანახათ საჭიროა 35,180 მ.—წლიური შემოსავალი იქნება 18,000 მ. ავათმყოფი თვიურათ 15 მან. გადაიხდის. ქალაქის გამგეობა მალე ამ საქმის შესახებ მოხსენებას წარუდგენს საბჭოს.

✦ **უვარგისი ზეთი.** სანიტარული დათვალიერების დროს ქალაქის ბევრ სავაჭროებში უვარგისი ზეთი აღმოუჩენიათ. დამნაშავე ვაჭრებს პასუხის გებაში აძლევენ.

✦ **გადასახლებულთა შეპყრობა.** 25—26 მარტს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებულნი გ. ი. მახარაშვილი და ა. გ. სოხიევი.

✦ **ტრამვაის ვაგონიდან გადმოვარდნა.** პარასკევს, 26 მარტს, დღის 1 საათზე, ოლღის ქუჩაზე, სენაკის მაზრის მცხოვრები ა. მ. ხოშტარია მიმავალ ვაგონიდან № 70 გადმოვარდა. მოკირწყლულ ქუჩაზე დაეცა და მარჯვენა ფეხი მოიტეხა. დაშავებული მიხაილოვის საავათმყოფოში წაიყვანეს.

✦ **ვითომ „სტუდენტი“** ოთხშაბათს, 24 მარტს, მომრიგებელ სასამართლოს მეოთხე განყოფილებაში გაირჩა საინტერესო საქმე თფილისის მცხოვრებ იაკორ სისოევისა და მისი სასიძოს ა. კორეკოვისა. საქმე იმაშია, რომ ა. კორეკოვს, რომელიც ამ ჟამათ ქალაქის თვითმართველობაში მსახურებს, დაუნიშნივს სისოევის ქალი და მზითვათ წინდაწინვე 600 მან. ფულათ მიუღია, სისოევი მას კიდევ დიდძალი მზითვების მიცემას შეპირებია, რადგან ა. კორეკოვი სტუდენტი გონებია; კორეკოვიც თავის თავს ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს უწოდებდა. როცა სისოევმა დანამდვილებით გაიგო, რომ ა. კორეკოვი სტყუის, შანტაჟისტობს, მაშინ მან საჩივარი აღძრა მის წინააღმდეგ. სასამართლომ კორეკოვს სისოევის სასარგებლოთ 600 მ. გადახდა მიუსაჯა. ა. კორეკოვს სასამართლოში თავის ვინაობის შესახებ არაფერი უთქვამს, თუმცა გამოირკვა, რომ ის არას დროს სტუდენტი არ ყოფილა. ქალი კი მამას უკმაყოფილებას უცხადებს, რადგან მისდა დაუკითხავათ საჩივარი აღუძრავს.

✦ **ახალი საზოგადოება.** განზრახულია თფილისში დაარსონ „თფილისის უმაღლეს კურსებზე ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება“ დღეს ქალთაუმაღლეს კურსების შენობაში მოხდება კრება, რომელიც მოილაპარაკებს ამგვარ საზოგადოების დასაარსებლათ.

✦ **საქალებო ინსტიტუტი.** რადგან თფ. საქალებო ინსტიტუტში გადამდები ავათმყოფობა გაჩენილა, ამიტომ გარდა ორი მთავარი კლასებისა, 25 მარტიდან მოწაფეები სასწავლებიდან დათხოვნილი არიან.

✦ **ქალაქის სასკოლო კომისია.** 25 მარტის სხდომაზე ქალაქის სასკოლო კომისიას დაუდგენია, მიეცეს თფილისის მუსულმანთა სკოლას დახმარება—250 მან.

✦ **ქალაქის ექიმთა სხდომა.** 25 მარტს შესდგა ქალაქის სანიტარული კომისიის სხდომა. გადაწყდა მოიწვიონ ქალაქის ცენტრალურ საავათმყოფოში სპეციალისტი ექიმი—ქირურგი.

✦ **მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლის შენობა** ინჟინერ გ. ა სარქისოვის გამოანგარიშებით ეღირება სულ 150,000 მ. სკოლის სამზრუნველო კომიტეტმა ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დაამტკიცა და ახალი შენობის აგებას მალე დაიწყებენ.

✦ **ანდერძი.** ამას წინათ მოკლულ ა. მელიქ-აივაზოვს 150,000 მ. უანდერძებია სხვადასხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებისათვის ამათგან, 5,000 მ. სომხურ დრამატიულ საზოგადოებისათვის დაუტოვებია.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, სახალხო სახლში კ. ი. გორბაჩევი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ფუტკართა ოჯახური ცხოვრება“. დასაწყისი დილის 11 საათზე.

✦ **ქართული თეატრი.** ხვალ ქართულ თეატრში მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ხათაბალა“ კომ. 4 მოქმედებათ გ. ნ. სუნდუკიანცის.

✦ **სამგლოვიარო წერილები.** დიდათ დაგვაწუხრა ამხანაგ ილარიონ წიქარაძის უდროოთ გარდაცვალებამ. კ. ჯანბერიძე, ნ. მამალაძე, გ. დოლიძე, მ. მგალობლიშვილი, ს. დოლიძე, ი. ჯანბერიძე.

— დამწუხარებული ვარ ძვირფას ამხანაგის სპირიდონ ბადეიშვილის უდროოთ გადაცვალების გამო. გ. აფხაზავა.

✦ **„ნაკადული“.** გამოვიდა ჟურ. „ნაკადულის“ თებერვლის ნომერი მცირეწლოვანთათვის და მოზრდილთათვის შემდეგი შინაარსით: სურათები, ლექსი, ბ. გელასი, შვიდი შვილი და პაპა, ლ. ელიავასი გრძელი შალვარი ვ. თამროშვილის, მარიამ დემურიას სახსოვრათ კ. აბაშიძისა. მაში, შემოდგომის სურათები ვაჟა-ფშაველასი. ახალი წელი გურიაში ავ. წულაძისა, საცარი მკურნალი—კუპრინის და სხვა. ჟურნალი ჩვეულებრივათ სუფთათაა გამოცემული.

## ქუთაისის რამე-რუმე.

—

სახალხო უნივერსიტეტის საძირკველი ჩაეყარა იმერეთის დედა-ქალაქში და მისის მესვეურნი აგერ ორი თვე გადის ერთგულათ მძიმე უღელს ეწევიან. უნივ. გამგეობა მუყაითათ და პირუთვნელათ მიუძღვის თავის მოვალეობას,

კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა საგნებიდამ, მსმენელებს უფრო მოსწონს ლექციები პოლიტიკურ-ეკონომიიდან და საქართველოს ისტორიიდან. ამ უკანასკნელ საგანზე კითხულობს აქაური სააზნაურო სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ალ. გარსევანაშვილი.

ლექციებს ხალხი ბლომათ ესწრება, უმეტეს ნაწილათ არიან მოწაფენი და ნოქრები, ცოტა ინტელიგენცია და უფრო ცოტა დაბალი ხალხი. კვირას, 21 მარტს წაკითხულ იქნა ორი ლექცია. ექიმმა ვას. წერეთელმა წაიკითხა „ჰიგიენიდან“. ეს მეორე ლექცია იმავე ტემიდან. ბ-ნი წერეთელი პოპულიალური ენით კითხულობს თავის ლექციებს, ასე რომ, მისი ლაპარაკი ყველასათვისაც გასაგებია; ლექტორი საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა. მეორე ლექცია წაიკითხა გრიგოლ გორგაძემ («ფონის» რედაქტორმა) პოლიტიკურ-ეკონომიის ისტორიიდან შემდეგს თემაზე: „ადამ სმიტი და მისი მოძღვრება“. ლექტორი საზოგადოებას დაპირდა, რომ იგი წაიკითხავს ასეთსავე ლექციებს: მალტუსზე, რიკარდოზე-უტოპისტ-ეკონომისტებ: სენ-სიმონ, ფურიესა და ოუენზე. აგრეთვე პრუდონსა და მარქსზე.

ლექტორმა მშვენიერათ, დალაგებით და გასაგებათ გადმოგვცა ადამ სმიტის ეკონომიური მოძღვრება. ლექტორი საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა და მეორეთ გამოიძახა.

სამწუხაროთ, წვიმის გამო ხალხი ბლომათ ვერ დაესწრო. საყურადღებოა ერთი გარემოება: დარბაზში ყოველთვის წესიერებაა და მსმენელები მოუთმენლათ ელიან ხოლმე ფარდის ახდას, რათა ხარბათ დაეწაფონ განათლების ტკბილ წყაროს.

დასასრულ არ შემიძლია არ შევნიშნო უნ—ტის გამგეობას: აგერ 12 ლექცია წაიკითხეს და ერთიც არ ყოფილა ლიტერატურის ისტორიიდან და არც სიტყვა-კაზმულ მწერლობაზე! ნუ თუ არ მოგვეპოება ლექტორები ამ დარგისა? საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს...

**დ. დ—შვილი.**

## † სპირიდონ ბადეიშვილი

—

18 მარტს დამით ქალაქის ბარაკში სული აღმოხდა ჯერ კიდევ ახალგაზდა და ენერგიით სავსე სპირიდონ ბადეიშვილს. განსვენებული სპირიდონი დაიბადა 1883 წელს სამეგრელოს ერთ სოფელში, ტეკ ოჯახში. მან ბავშვობიდანვე დაკარგა მამა და შემდეგ გადასახლდა ფოთში, სადაც იძულებული იყო მოსამსახურეთ შესულიყო. სიღარიბე და გაჭირვება განსვენებულის მუდმივი თანამგზავრები იყვნენ და სპირიდონმა ახალგაზდობიდანვე შეიგნო არსებული უკულმართობის ტკივილები და ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა 17—18 წლისა ჩაება იმ დიად მოძრაობაში, რომელსაც განმათავისუფლებელი მოძრაობა ეწოდება. როცა განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღები გაიზარდენ, სპირიდონმა საპატიო ადგილი დაიჭირა დამას ანრარიში უწევდა უველა—როგორც თანამოაზრენი ისე მოწინააღმდეგნიც.

დიდი ხნის უმუშევრობის შემდეგ სპირიდონმა იშოვა სამუშაო ინჟენერ სკარჟინსკთან, მაგრამ იქიდან ის მალე დაითხოვეს, როგორც გაფიცვის მეთაური და 1904 წლიდან ის ქუჩის შვილი გახდა. მიუხედავათ იმისა, რომ განსვენებულს არ ქონდა კლასიკური სწავლა მიღებული, ის ითვლებოდა ერთ მოწინავე მუშათ და სამართლიანადაც. ამასთან ის ამ არევ-დარევის დროში სრულიადაც არ გამოცვლილა, პირიქით დღევანდელ „უდროობის დროშიაც“ შეინარჩუნა ენერგია და სისხლტკე, მაგრამ უღმობელმა სენმა არ დააცადა მას ამ გარკვეულ გზაზე სვლა. როგორც მეტათ გაჭირვებული, ის ამ ბოლო დროს, როცა სახადი გაჩნდა ქალაქში, შევიდა მსახურათ სახადიანთა ბარაკში, იქ მას გადაედო სენი და 5 დღის ავათმყოფობის შემდეგ განუტევა სული. 19 მარტს განსვენებულის ცხედარი მიაბარეს მიწას. მის გასვენებას ვერ დაესწრნენ მისი ამხანაგ მეგობრები, მას ვერ უთხრეს უკანასკნელი „მშვიდობით!“

საუკუნოთ იყოს შენი ხსენება!..

**ვალია.**

## გამოფენა ლევანდოვსკის კერძო სასწავლებელში.

ყველასათვის ცხადია, რომ თავისუფალი აღზრდა არა თავისუფალ სახელმწიფოში შეუძლებელი საქმეა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სწავლების ცოტად თუ ბევრად გაუმჯობესება ეხლანდელ პირობებშიაც არ შეიძლებოდეს.

ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ ლევანდოვსკის სასწავლებელში. ჩვენ არა ვართ მომხრე, რომ ქებათა ქება შევასხათ რუსეთის რომელიმე სასწავლებელს დღევანდელი პირობებში, მაგრამ არ შეგვიძლიან ფაქტებს ანგარიში არ გავუწიოთ. შემთხვევით მოუხდა შესვლა ლევანდოვსკის სასწავლებელში, სადაც გამოფენილია მთელი სამი წლის მოღვაწეობა სკოლისა სწავლა-აღზრდის საქმეში. მე არ შევუდგები დაწვრილებითი ჩამოთვლას თვითეულის დარგისას, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, ვიტყვი, მხოლოდ: სასიამოვნო და მეტად საჭიროც არის, რომ ყოველივე მშობელი დაათვალიერებდეს ამ გამოფენას და შეადარებდეს ამ სასწავლებლის მუშაობას სხვა სასწავლებელთა დამახინჯებულ მუშაობასთან. საუბედუროთ, გამოფენა მარტო სამი დღე გაგრძელდა და დღეს სალამოს დაიხურება, მაგრამ ვისაც სურვილი აქვს, შეუძლიან დღესაც მოასწროს მისი დათვალიერება. საუცხოვო სანახავია, როცა თვითონ შეგირდები თავს დახარიან გამოფენას, გრძნობენ თავის ნამუშევარს, თავაზიანათ გხვდებიან და გიხსნიან ყველაფერს, ვითარცა „საქმის პატრონნი“. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამას ჩადიან 8—12 წლის ბავშები.

**სტუმარი.**

# უკანასკნელი ფოსტა

**საზღვარ-გარეთ**

**გაფიცვის გამოცხადება.** მარსელში სავაჭრო გემებმა, რომელიც მთავრობას ყავს დაქირავებული, 24 საათის გაფიცვა გამოაცხადეს. რამდენიმე საქონლის გემმა ნავთს-ადგური დასტოვა. გაფიცულ მეზღვაურებს სურდათ სხვა წამსვლელი გემებიც დაეჭირათ, მაგრამ პოლიციამ შეუშალა ხელი. ატლანტიის ოკეანეს გემები ნავთ-სადგურიდან ვერ გავიდნენ. კამპანიამ მგზავრებს ბილეთების ფულები უკანვე დაუბრუნა.

**პროტესტი ლორდების წინააღმდეგ.** ლონდონში გადაუწყვეტიათ გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია გამართონ ლორდების წინააღმდეგ.

**საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლა.** გასულ კვირას ბრემენში (გერმან.) გაიმართა 5 მიტინგი. მიტინგზე ყველა ორატორები საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას მოითხოვდენ. დესაუში მიტინგს 8000 კაცი დაესწრო, ბელინბურგში—6,000 კაცი. მიტინგებმა ყველგან მშვიდობიანათ ჩაიარა.

**გაფიცვის მოლოდინში** ბერლინში დახურულ კარებში დაიწყო თათბირი მთელი გერმანიის მშენებელი მუშების დეპუტატებისა. თათბირზე არიან სოციალდემოკრატები, ლიბერალები და კონსერვატორებიც კი. მოსალოდნელია ნახევარი მილიონი მუშების გაფიცვა, რომელიც სერიოზულ კრიზისს უქადის ქვეყანას.

## რუსეთი

**სოც. დემოკრატიულ ფრაქციისათვის** გადაუციათ დნეპროვსკის მაზრის (თავრიდის გუბერ.) სახალხო სკოლების ინსპექტორის შემდეგი ცირკულიარი: «ბ.ბ. დნეპროვის მაზრის სახალხო სკოლების მასწავლებლებს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვიგე, ზოგიერთი მასწავლებლები მსახიობის როლს ასრულობენ სახალხო წარმოდგენებში. რადგან მასწავლებლების სცენაზე გამოსვლა მოსწავლეების თვალში აღმზრდელთა პრესტიჟს დასცემს, ამიტომ ვთხოვ ჩემდამო რწმუნებულ რაიონის მასწავლებლებს დღეიდან მონაწილეობა აღარ მიიღონ არც წარმოდგენებში, არც კონცერტებში და არც სხვა გასართობებში. ინსპექტორი ივაშჩენკო. 1910 წ. 7 მარტი“.

**მზრუნველობა ტუსაღებზე.** პეტერბურგის სატუსაღოში, „კრესტში“ ახალი ცვლილება მოახდინეს. მნახველების მისაღებ ოთახში, რომელშიაც აქამდე რკინის ბადე იყო გაკეთებული, რომ ტუსაღები არ გამოსულიყვნენ ან მათთვის მნახველებს მალულათ არაფერი გადაეცათ, ამ ჟამათ ორმაგი მინების (ДВОЙНАЯ СТЕКЛА) კედელიც გააკეთეს. ამ კედლის წყალობით სრულიად შეუძლებელი ხდება მნახველების გამოლაპარაკება ტუსაღებთან. თუ ვინმე მოისურვებს ლაპარაკს, მან ძალიან ხმა მაღლა უნდა წარმოსთქვას სიტყვები და რადგან პატარა მისაღებ ოთახში 75 დე მნახველი იკრიბება, ცხადია, მნახველები ძალაუნებურათ თვითონვე უშლიან ხელს ერთიმეორეს ლაპარაკის დროს. ამ ახალმა ცვლილებამ ძალიან დაალონა როგორც ტუსაღები, ისე მნახველებიც.

ალბათ, ასეთი „გაუმჯობესებისთვის“ ითხოვა იუსტ. სამინისტრომ 31,736,000 მანეთი.

**კავშირის დევნა.** ქ. რეველში, პროფესიონალურ კავშირების ბიუროში მივიდენ პოლიციის მოხელენი და რვა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლებს გამოუცხადეს სენატის განკარგულება კავშირების დახურვის შესახებ. დაიხურა კავშირები: ლითონის, ხის, ქაღალდის ქარხნების, მღებავების, მეტყავეების, მკერვალების, ხელზე მოსამსახურეთა და სტამბის მუშების.

**მდგომარეობა ფინლიანდიაში.** უმაღლესი წინადადება საერთო-სახელმწიფოებრივ კანონმდებლობის შესახებ წინასწარ განსახილველათ გადაეცა ძირითადი კანონების კომისიის სექციას.

— ფინლიანდიის გამოჩენილ მოღვაწეს ლეო მეხელინს „რ. ს“ კორესპონდენტისათვის უთქვამს: სეიმიდან მოითხოვენ, რომ მან თავისი აზრი გამოსთქვას ისეთი საკითხის შესახებ, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ სეიმისავე უფლებას შეადგენს. წინდაწინვე განსაზღვრული აქვს რუსეთის მთავრობას, თუ რა წესით გაატარებს სახ. დუმაში და საბჭოში კანონებს, რომელიც ფინლიანდიას შეეხებიან.

სახ. დუმა რომ თავის „დებულებას“ და ძირითად კანონებს გადაათვალიერებდეს, აშკარათ დაინახავს,—აქვს თუ არ მას უფლება განიხილოს ისეთი საქმეები, რომელნიც ფინლიანდიას შეეხებიან. ჩვენ ძალიან სამწუხაროთ მიგვაჩნია ის გა-

—ცხადება, რომ სახელმწიფო დუმაში ყველა არ იცნობს ფინლიანდიის საკითხს და იმ ცნობებით სარგებლობენ მხოლოდ, რომელსაც რუსეთის პრესის ერთი ცნობილი ნაწილი იძლევა. რაც შეეხება სახ. დუმაში და საბჭოში დეპუტატების გაგზავნას, მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ფინლიანდიელი არ წავა არც სახ. დუმაში და არც საბჭოში. მარტო რუსული ენის ცოდნის აუცილებლობა რათ ღირს. ჩვენმა ხალხმა არ იცის რუსული ენა, გარდა ზოგიერთი ვაჭრებისა. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, შესაძლოა თუ არა ფინლიანდიაში პრაქტიკულათ რაიმე კანონი იქნეს განხორციელებული სეიმის ნების წინააღმდეგ, ჩემი შეხედულობით ეს ყოვლათ შეუძლებელია.

— ტალმანს (თავმჯდომარე) სვინხუვუდს უთქვამს: ახალმა კანონ-პროექტმა ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ფინები ძალზე აღშფოთებულნი არიან, მაგრამ გრძნობებს არ ააშკარავებენ და თავდაჭერილათ იქცევიან. რაც შეეხება სამხედრო კანონ-პროექტს, უნდა სიმართლე ვსთქვა, თანამედროვე პირობები სრულებით ხელს არ უწყობენ სამხედრო კანონ-პროექტის მიღებას.

სამხედრო კანონ-პროექტის უარყოფას ხომ სეიმის დათხოვა მოჰყვებაო—უკითხავს ტალმანისთვის მოსაუბრეს. დიახ, ეს მოსალოდნელია, მაგრამ ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ჩვენ კანონს არ ვარღვევთო—უპასუხნია ტალმანს.

## რუსეთის ცხოვრება

### გაერთიანებული თავად-აზნაურობა *)

ორი უკანასკნელი სხდომა1—9 და 20 მარტს „გაერთიანებულთა“ სიეზდმა მოანდომა ებრაელთა და სწავლა-აღზრდის საკითხების განხილვას.

ებრაელთა საკითხის შესახებ სიეზდმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც შეუძლებლათ სცნობენ ებრაელების სამხედრო სამსახურში დაშვებას. არ მიიღებიან აგრეთვე ებრაელები არც სამხედრო სასწავლებლებში. მათვე არ ექნებათ უფლება საარჩევნო კრებებზე მონაწილეობის მიღებისა, არ მიიღებენ საერობო და ქალაქის სამსახურში. ებრაელები არ იქნებიან შეტანილნი აგრეთვე არც ნაფიც-მსაჯულთა სიაში და უფლება არ ექნებათ იყონ არც ნაფიც და არც კერძო ვექილებათ. დაბოლოს სიეზდმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო დამატებათ: „აუცილებელი საჭიროება მოითხოვს ბოლო მოეღოს შემდეგში ებრაელების ძალადობასა და გავლენას“. საერთოთ სიეზდი ასეთი დამატებით დაკმაყოფილდა, თუმცა ორატორთა უმეტესობა კიდევ მეტს მოითხოვდა. მაგ., სიმბირსკელი პაპკოვი მოითხოვდა, საგანგებო მუხლი შეეტანათ რეზოლიუციაში, რათა ებრაელებისათვის აეკრძალათ ან საძნელოთ გაეხადათ მაინც, ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობა და გამოცემლობა. კუშელევი კი მოითხოვდა,—სამხედრო სამსახურის ნაცვლათ ებრაელებს ბეგარა ეხადათ...

სახალხო განათლების შესახებ მოხსენება წაიკითხა ლეონოვმა (დონის ოლქიდან). მომხსენებლის აზრით საჭიროა ახალგაზრდობის აღზრდა მართლმადიდებელ სარწმუნოებრივ ნიადაგზე, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა პატრიოტიზმით უნდა იყოს გამსჭვალული და ტახტისადმი ერთგული. ერთი ორატორი მოითხოვდა სასწავლებლებში სამხედრო ვარჯიშობის შემოღებას, რომ მოსწავლე ახალგაზრდობაში მეომრის ცეცხლი ღვივოდესო. პურიშკევიჩის აზრით თავად-აზნაურობამ გავლენა უნდა მოახდინოს სამაზრო საერობო სკოლებზე, თავად-აზნაურობა უნდა თვალყურს ადევნებდეს გლეხთა შვილებს სკოლებში, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ გლეხობა შეადგენს ამ ჟამათ რევოლიუციონურ ელემენტსო. მისი აზრით გლეხთათვის სკოლები ზედმეტია. პურიშკევიჩი მოაგონებს აგრეთვე თავად-აზნაურთა წინამძღოლებს ნუ დასტოვებენ უყურადღებოთ ნურც უმაღლეს სკოლას, ვინაიდან—სტუდენტობა არა თუ იღებს მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში, არამედ—ისინი კიდეც ქმნიან ასეთ მოძრაობას, ამიტომ საჭიროა სტიპენდიები მოუსპოთ ისეთ სტუდენტებს, რომლებიც ნებადაურთველ კრებებს დაესწრებიანო. დასასრულ პურიშკევიჩი ამბობს: ჩვენში ამ ჟამათ განათლებული პროლეტარიატის სიჭარბეაო (перепроизводство). ასეთი აზრი პურიშკევიჩისა ყველას მოეწონა. ილაპარაკეს სხვადასხვა ორატორებმა—ზოგი სრულიად წინააღმდეგი იყო გლეხებში სწავლის გავრცელებისა, ზოგი ამბობდა: უსათუოთ ყურადღება უნდა მივაქციოთ ხალხში სწავლა-განათლების საქმეს და როგორც შეეფერის თავად-აზნაურობას, ისე მოვიქცეთო. კომისიის აზრით სანამ საყოველთაო სწავლის შემოღებას შეუდგებოდნენ, საჭიროა წინდაწინ მასწავლებელთა მომზადება, რისთვისაც უნდა გაიხსნას საგანგებო სასწავლებლები. მასწავლებელ ქალებს უპირატესობა უნდა მიეცეთ მამაკაცებთან შედარებით, უნდა გაძლიერდეს სკოლებისადმი თვალყურის დევნება ინსპექტორების მიერ. უკანასკნელ სხდომაზედაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა პურიშკევიჩმა სწავლა-განათლების შესახებ. მას სასარგებლოთ და მიზნის შესაფერათ მიაჩნია სტიპენდიების დაარსება მხოლოდ დაბალ სახელოსნო სასწავლებელში და არა საშუალოში ან უმაღლესში, რითაც გლეხთა შვილები სოფელს მორდებიან და აძლიერებენ მხოლოდ უნიადაგო ინტელიგენტთა რიცხვს, რომელიც რუსეთის სახელმწიფოებრივობის მტერიაო. მისი აზრით თავად-აზნაურობას არ უშველის მინისტრისადმი მიმართვა, რომ სახელმწიფო დუმაში მან ჩვენი სასარგებლო კანონ-პროექტები შეიტანოს, ვინაიდან დუმა ასაფეთქებელ ნივთიერებას უწყობს რუსეთის სახელმწიფოებრივობის საფუძველსო. თავ. უხტომსკი შენიშნავს, რომ არ შეჰფერის თავად-აზნაურობას მე-20 საუკუნეში იმის შესახებ აღძრას საკითხი, თითქმის გლეხებისთვის საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება საზარალო იყოსო, მარა მას არ უსმენენ. ორატორი მოაგონებს სიეზდს, რომ გენერალი სკობელევი გლეხი იყო და სხვა. პურიშკევიჩი უხტომსკის საპასუხოთ კიდევ ამბობს სიტყვას. ის ილაშქრებს უმთავრესად უმაღლესი სასწავლებლების წინააღმდეგ და მთელს ბრალს პროფესორებს ახვევს თავს. ზოგიერთ სტუდენტთა გვარებიც კი ჩამოთვალა მან, რომლებიც, მისი სიტყვით, რევნიან სტუდენტობას და სხვა. ერთი სიტყვით, რაც არ ალაპარაკეს პურიშკევიჩი სახელმწიფო დუმაში, ის ილაპარაკა მან „გაერთიანებულთა“ სიეზდზე. კუშელევის წინადადება,—რომ იმ სკოლებში, რომლებსაც დახმარება ხაზინიდან ეძლევათ აუცილებლათ სწავლება რუსულ ენაზე სწარმოებდეს—გადაეცა საბჭოს. დიდი კამათი გამოიწვია აგრეთვე სახალხო სკოლებთან არსებული ბიბლიოთეკების კატალოგების გადასინჯვის საკითხმა. ბევრი იმ აზრისა იყო, რომ სახალხო სკოლათა ბიბლიოთეკებში სამინისტროს მიერ ნებადართული წიგნებია, მარა უმრავლესობამ სთქვა: „ვერ ვენდობითო“. სიეზდმა მიიღო აგრეთვე დადგენილება, რომლის ძალითაც სანამ მასწავლებლები არ მოემზადებიან როგორც თავად-აზნაურობას სურს საყოველთაო განათლების განხორციელების შესახებ ნაბიჯი არ იქნას წინ გადადგმული. ვიღაცამ შენიშნა, რომ ასეთი დადგენილება სახალხო განათლების საქმეს შეაფერხებსო, რაზედაც სიეზდის ყოველი მხრიდან მოისმა მწყობრი ხმა: „მადლობა ღმერთს“. ეს რეზოლიუციაც მიიღეს.

დაბოლოს თავადმა უხტომსკიმ სიეზდს წინადადება მისცა მთავრობის მოქმედებას ხაზინის გამქურდავთა წინააღმდეგ ზომების მიღებაში თანაგრძნობა გამოუცხადონ, რამაც დამსწრეებში ერთი არევ-დარევა მოახდინა. ყოველ მხრიდან მოისმა ხმები: „არაფრის გულისათვის“. უხტომსკი ასაბუთებს თავის წინადადებას და ამბობს, რომ სენატორთა რევიზია მთელს რუსეთზე უნდა გავრცელდეს, უნდა გამოკვლეულ იქნას ყველაფერი ვინ რა ჩაიდინა, ვინაიდან, მისი აზრით, იაპონიასთან ომი რუსეთმა იმიტომ წააგო, რომ ხაზინას უმოწყალოდ ჰქურდავდენ, არავინ არაფერს არ აკეთებდაო—მოისმა კიდევ უკმაყოფილების ხმები თავად-აზნაურებში: „ჩვენ ომი წაგვაგებია ჟურნალ-გაზეთებმა, პრესამ“—უპასუხებენ ყოველ მხრიდან უხტომსკის. წინადადება მოხსნეს, მიუხედავად იმისა, რომ გრაფი ბობრინსკი წინადადებას იძლეოდა: ვინაიდან სიეზდის მუშაობის გასაცნობათ ხელმწიფე იმპერატორთან მომიხდება მოხსენების გაკეთება, ნება მიბოძეთ, სხვათა შორის, ამ საკითხსაც შევეხოო, მარა უმეტესობამ აქაც დასძახა: „არაფრის გულისათვის“-ო.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ მუშაობა დასრულებულათ გამოაცხადა და სიეზდიც დაიხურა.

ასე დასრულდა გაერთიანებულ თავად-აზნაურთა ეს სიეზდი. როგორც მკითხველი ანგარიშიდან დაინახავდა, სიეზდი ბევრ საჭირ-ბოროტო საკითხებს შეეხო, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და თუ მხედველობაში მივიღებთ წარსულში მთავრობის მიერ თავად-აზნაურთა „სურვილების“ ასრულების მაგალითებს—ცხადია, ამა თუ იმ საკითხთან „გაერთიანებულთა“ დამოკიდებულება არ არის ინტერესს მოკლებული, ვინაიდან—ჩვენი ცხოვრება მჭიდროთ დაკავშირებულია რუსეთის საერთო სახელმწიფოებრივ ცხოვრებასთან: მისი გაუმჯობესება ასეთსავე ნაყოფს გამოიღებს, როგორც ჩვენში ისე სხვა ადგილებში და ამის წინააღმდეგ მოვლენას—შედეგიც წინააღმდეგი მოყვება...

*) იხ. „ახალი სხივი“ № 40, 41, 42, 43.

### სკოლების საკითხი გურიაში.

ადგილობრივი გამგე მართველი სკოლისა მღვდელია, შემდეგ ბლოჩინია უფროსი, მერმე მაზრის მეთვალ-ყურე, შემდეგ სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილება, მას შემდეგ თვით საბჭო, ეპარქიალური მეთვალყურე და ბოლოს ადგილობრივი მღვდელმთავარი და ზევით. არავითარი საქმე ისე არ გადაწყდება, თუ ეს ინსტანციები არ გაიარა და საბჭოს დადგენილება ეპისკოპოსმა არ დაამტკიცა. ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მღვდელი ვალდებულია სასკოლო საქმეზე თხოვნით ჯერ სამაზრო განყოფილებას მიმართოს,—მაშინ ცხადია, რა დრო დასჭირდება მთხოვნელს, რომ მისი თხოვნის პასუხი მიიღოს. სამაზრო განყოფილებაში წევრებათ არიან რამდენიმე მღვდელი, რომელთაგან პასუხი შეიძლება ვერც კი მიიღო. რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ უჯამაგირო წევრს სხდომაზე მოსვლა ეზარება. განყოფილების კანცელიარიის შესანახათ, საქმის მწარმოებლის, ბინისთვის და სხვა აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ საბჭო ერთ კაპეიკსაც არ იძლევა.

ეპარქიალური საბჭო ამას კარგათ ხედავს, მაგრამ ყურს არ იბერტყავს. ამ პირობებში განყოფილება და მისი კანცელიარია ფიქციაა. საქმე კი აუარებელია გასაკეთებელი, დიდი შრომა არის საჭირო. რომ რომელიმე სკოლისაგან რამე საჭირო ცნობა მიიღო, მღვდელი ყურსაც არ იბერტყავს შეკითხვაზე, იცის ვისთან აქვს საქმე. მასწავლებელი არც ვალდებულია და არც ეკითხებიან მას ასეთ რამეს. ამისთვის განა ცოტაა „უფროსები“? აი ასეთ პირებს აბარია სკოლები. აქ სავსებით მართლდება ანდაზა, „ბევრი ძიძას ხელში ბავშვი მოუვლელობით მოკვდაო“.

როგორ არის სწავლა-აღზრდის საქმე დაყენებული? მაზრაში ამას თვალ-ყურს ადევნებს სამაზრო მეთვალ-ყურე, რომელიც ერთსა და იმავე დროს მრევლის მღვდელიც არის, ბლაღოჩინიც და სკოლების მეთვალ-ყურეც. აქვს თუ არა ამას ამის დრო, გამოცდილება, უნარი—მას არავინ დაგვიდევს. მერმე ან ამ მეთვალყურემ ან მისმა უფროსმა იციან როგორ არის საქმე სკოლებში? რამდენჯერ გამიგონია მეთვალყურისაგან: „სკოლაში შესვლა მეხვენიაო“-ო. ეს იმიტომ, რომ ხალხს იგი მართლა უფროსი ჰგონია. ის კი გაიძახის: „კი, კი, მოგცემთ ფულს, დაგეხმარებით და სხ“. ნამდვილათ კი—„ყვავს რა აქვს ბუს რას მისცემს“. სამაგიეროთ, არც მას უწევენ ანგარიშს ხელ-ქვეითები. იყო მაგალითი ეპარქიალ. მეთვალყურემ სკოლები დაათვალიერა, ნახა რამდენიმე სკოლა, რომელშიაც მასწავლებლები არაფერს არ აკეთებდენ. აღძრა შუამდგომლობა, გაატარა ყველა ინსტანციებში და მასწავლებლები დაითხოვეს როგორც უვარგისნი, მაგრამ ეს მასწავლებლები ისევ განაგრძობენ „მასწავლებლობას“.

ახლა ჯამაგირების საქმე. არის ისეთი სკოლები, რომელსაც ხაზინა სრულიათ არაფერს არ აძლევს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც ღებულობენ წელიწადში 50 მან. 100—154 მანეთს და იშვიათ შემთხვევებში მეტსაც. დანარჩენს საზოგადოება თუ მისცემს კარგი, თუ არა—არაფერი. თავს არავინ იტკივებს. ამას ზედ დაუმატეთ ისიც, რომ საბჭო ერთხელ გამოსულ სკოლაზე ჯამაგირს ხან განახევრებს, ხან სულ გააუქმებს სრულიად უმიზეზოთ. ერთი სიტყვით, ამ მხრივ არავითარი წეს-რიგი არ არის საბოლოოთ დაკანონებული.

ასეთი მდგომარეობის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ ხალხმა გადასწყვიტა სამრევლო სკოლების სამინისტრო უწყებაში გადაცემა, მაგრამ რამდენათაც საქმის გაკეთებაში სუსტობდენ ჩვენ უფროსები«, იმდენათ ყოჩაღები გამოდგენ საქმის დაშლაში. შეიქნა ერთი მიწერ-მოწერა და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ სამინისტროს სამრევლო სკოლის მიღება დაუშალონ ზოგან გვარიანათაც დასაჯეს გადაცემის მომხრენი. საქმეში ადმინისტრაციაც ჩაერია, მაგრამ სკოლები მაინც კადადის. ასეთი მაგალითები ბევრია (ჩოხეთ-კალაგონი, ვანი, სამლვთო, შუხუთი და სხვ.) სასულიერო უწყების წარმომადგენელნი მაზრაში ყოველს საშუალებას ხმარობენ, რომ ასეთ აქტებს ხელი შეუშალონ; ზოგან სოფელი სულ ხურავს სკოლას, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც მოახერხონ გადაცემა, მაგრამ თუ ამ უწყების სარმომადგენელნი ერთი მხრით ცდილობენ შკოლები შეინარჩუნონ, მეორე მხრით მოლა მასრადინასავით თითონვე უმზადებენ ნიადაგს ასეთ მოძრაობას. სკოლების სამინისტროში გადასვლის წინააღმდეგ არაფერი ითქმის, ეს, პირ-იქით, სასურველიცაა მხოლოდ ხელის შეშლა კი, რომელშიაც ძალიან დახელოვნებული არიან ზოგიერთი პირები და მთელი საბჭო, ბრძოლა გადაცემის წინააღმდეგ, რომელიც ხშირათ სკოლის სრულიად გაუქმებას იწვევს, მაშინაც კი, როდესაც თითონ ვერავითარ გამგეობას ვერ უწევენ სკოლას, მოგვაგონებს ქართულ ანდაზას „ავი ძაღლი არც თვითონ სჭამს და არც სხვას აჭმევსო«.

ა—გ—ლი.

## პროვინცია

**ნიგოითი.** ნიგოითის ორ-კლასიან სასწავლებლის მეორე სართულის შენობა მალე დამთავრდება. ამ შენობის ერთ-ერთ დარბაზში მოთავსდება საქსოვი განყოფილება, მანქანები და სხვა იარაღები მოტანილია. ეს შენობა ჯდება სულ 5,000 მ.-დე; 200 მ. სამოსწავლო მთავრობამ გაიღო, დანარჩენი კი საზოგადოებამ. შუამდგომლობაა აგრეთვე აღძრული, რომ ამავე საზოგადოების ს. ქვიანში გაიხსნას 2 კლასიანი სამეურნეო სასწავლებელი. ხალხი უკანასკნელ გროშს არ იშურებს ასეთ კულტურულ დაწესებულებებისთვის, მაგრამ რას გახდება, როცა ყველა ღარიბ-ღატაკია. აქაურ «ხუნხუზების» თავ-აშვებულმა მოქმედებამ ძლიერ შეუწყო ხელი ხალხის გაღატაკებას. დაესხმიან თავს ვინმეს, ან მოიპარვენ რამეს და ეგზეკუციებს, ჯარიმებს და სხვა დასასრული აღარ აქვს. გასულ წლის მეორე ნახევარში 6 თვის ვადით მთავრობის მამასახლის-სტრაჟნიკები დაგვინიშნეს ჩვენი ხარჯით. გავიდა ცოტა ხანი და ვიღაც ნაძირალებმა 16 ნოემბერს მოკლეს გზაში სტრაჟნიკი. რაც ამ ამბავმა გამოიწვია, კალამი ვერ ასწერს. ექვსი თვის შემდეგ ისევ დასტოვეს მამასახლის სტრაჟნიკები. ამის გამო საზოგადოებამ ამორჩეულ პირის დახმარებით თხოვნა მისცა მთავრობას, რათა ეშუამდგომლა გუბერნატორის წინაშე მოეხსნათ მამასახლისს სტრაჟნიკები, სიღარიბეს და სხვა შევიწროვებს გარდა თხოვნაში ასახელებდენ ხარჯებსაც. ეს საქმე გუბერნატორმა მაზრის უფროსს მიანდო, მაგრამ მაზრის უფროსმა შეუძლებლად დაინახა მოეხსნა ნიგოითში მამასახლის-სტრაჟნიკები. ყველა ზემო თქმულს ზედ დაერთო კიდევ 9 მარტს ნიგოითსაჯავახოს შუა მატარებელზე თავდასხმა. თუმცა ამ თავდასხმის გამო ნიგოითს ჯერ არაფერი მოხვედრია, მაგრამ ვინ არის თავმდები, რომ ასე დაგვტოვებენ. ეხლა ჩვენში აუარებელი გადასახადები იკრიფება, თითოეულ კომლ გლეხს უწევს 10—20 მანეთამდე, ვისაც ფული არ აქვს, იმისაგან სოფლის მოხელეები ერმით „საწინდარს“ ეზიდებიან. შარშანდელი სიმინდი ქცევა მიწა 3 მანეთიანი წელს 5—6 და ზოგან 7 მანეთამდე ავიდა. მიუხედავათ ასე ერთბაშათ გაძვირებისა, სიმინდი მიწებზე დიდი მოცილეობა არის, რის გამო ჩხუბი და აყალ მაყალი ხშირია. 16 მარტს ირ. ზ. და ს. ნ. ფირცხალაიშვილებს სიმინდი მიწის თაობაზე ჩხუბი მოუვიდათ. რომლის დროს ს. ფირცხალაიშვილმა დანით სასიკვდილოთ დასჭრა ირ. ფირცხალაიშვილი. დამნაშავე შეიპყრეს, ხოლო დაჭრილი დახხუთის სავადმყოფოში გაგზავნეს.

— ამ ორი თვის წინათ ნიგოითში, გოგეშვილის სახლში ბავშვები ერთათ შეგროვილიყვნენ და თოფს ათამაშებდენ. თოფი უცაბეთათ გავარდა: მოხვდა ნასრიას 8 წლის ბავშვს და მოჰკლა. ეს საქმე გულში ჩაიწნა მოკლულ ნასრიას უფროს ძმას (14 წლისაა) და 5 მარტს, როდესაც გოგეშვილის ბავშვი სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა, გზაში დახვდა ნასრია და სასიკვდილოთ დასჭრა დანით. დაჭრილი ბათუმის სავადმყოფოში გაგზავნეს. დამნაშავე შეიპყრეს. გლეხი.

## მუშათა შორის

**ოზურგეთი.** (ნოქარ-შეგირდთა ცხოვრებიდან). აქაურ ნოქარ-შეგირდებში აღარ არსებობს არავითარი სოლიდარობა-კავშირი, ლოთობა კარტ ნარდის თამაში და სხვა ამ გვარები კი ჩვეულებათ გადაექცათ. უმეტესწილათ ცუდ პირობებში ხარაზი ნოქარ-შეგირდები არიან მათთვის აღარ არსებობს არც ძილი, არც დასვენება. ღამის პირველ საათამდე მუშაობენ. და თუ ცოტა დრო იშოვეს იმის ნაცვლად, რომ თავისთვის მოიხმარონ, ლოთობას და კამათლის თამაშს ანდომებენ. უმეტესად ი. კ—ვამ გადააჭარბა. მისი შეგირდები გათენებამდე მუშაობენ. მეორეჯერ მიმართეს ამ ვაჟბატონს, რომ რიგიანათ მოეპყრობოდა თავის შეგირდებს, მაგრამ არავითარმა ძალამ არ გასჭრა.—აქაური ნოქრები კანონით ნებადართულ უფლებებითაც კი ვერ სარგებლობენ, ნაცვლათ იმისა, რომ მაღაზიები კვირას თორმეტ საათზე კაიდოს და ოთხზე დაიკეტოს, თერთმეტზე იღება და ხუთზე იკეტება ყურადღებას კი არავინ აქცევს. ასეთივე არევდარევა არსებობს მეეტლეებშიაც. საჭიროა თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ თვით ნოქრებმა იზრუნონ. ნა—კალი.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ხუთშაბათს 25 მარტს, შეგროვებულ იქნა სუფრაზედ 1 მ. 80 კ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოთ, რასაც ამ წერილთან ერთად გახლებთ და გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ *).

ამხანაგების მინდობილებით **ზ. ხატიშვილი.**

*) რედაქციამ მიიღო 1 მ. 80 კ. და გადაეცა დანიშნულებისამებრ. რედ.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე.


## განცხადება

### ქუთაისში

კიწმარაშვილის და ამხანაგობის

**თესლეულობის მაღაზიაში**

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების პასხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ.

(25—14)

**კბილის საექიმო კაბინეტი იოხველისა**

(„გაუფრთხილდით კბილებს“ ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—36)

კახეთის მევენახეთა ამხანაგობა

**ხირსა**

გაიხსნა ოლგისა და ბელინსკის ქუჩების კუთხეში ტატო გაბაშვილის შენობის სარდაფში

იყიდება ნამდვილი კახური ღვინო ძლიერ იაფად ბოთლი —15-დან—30 კაპეიკამდე. (0—23)




ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 1 | „ — 20 к. | 16 | „ — 3 р. | |
| № 2 | „ — 25 к. | 16 | „ — 3 р. | 60 к. |
| № 3 | — 35 к. | 16 | „ — 5 р. | 10 к. |
| № 4 | „ — 50 к. | 16 | „ — 7 р. | |

Адресъ: Тифлисъ, мухранская ул. .д № 81 Михаилу Николаевичу Кодалову.